

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

27 იანვარი, 2012წ.

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 19:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), ზვიად კორძაძე, გოჩა სვანიძე, იოსებ ბარათაშვილი, იმედა დვალიძე, ზაზა ბიბილაშვილი, ბესო აბაშიძე, ქეთევან ბექაური

1. ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. PR- მენეჯერის 2012 წლის სამუშაო გეგმის შესახებ საკითხი;
4. 2012-2013 წლის ასოციაციის განვითარების თაობაზე ბაკურიანში გასვლით შეხვედრაზე ჩამოყალიბებული სტრატეგიის შესახებ მსჯელობა;
5. გიორგი ციხისთავის განცხადება პირადი განცხადებით შეჩერებული წევრობის აღდგენის შესახებ, (ამჟამად საჯარო მოსამსახურე).
6. სხვადასხვა მიმდინარე საკითხები

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ე ს:

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით;
- ა). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი) თანახმად, ანა

კაპანაძეს უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წერილობით;

ბ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21-მუხლის, მე-3 პუნქტის (ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე პირისთვის უარის თქმის საფუძვლებია) “ბ” ქვეპუნქტის (მის მიერ ტესტირების გავლიდან გასულია 7 წელი) თანახმად, **ნათია დოლიძე-ხოფერიას** უარი ეთქვას ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოს წერილობით;

გ). საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, მე-10 მუხლის, 1 პუნქტის, “გ” ქვეპუნქტის (აქვს იურისტად ან ადვოკატის სტაჟიორად მუშაობის არანაკლებ 1 წლის სტაჟი) თანახმად, **ლანა მოდებაძეს** და **გვანცა თურმანიძეს** უარი ეთქვათ ასოციაციაში გაწევრიანებაზე და აღნიშნულის შესახებ ეცნობოთ წერილობით.

2. დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარდგენილი იმ უფლებამოსილებაზე წყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწევრიანებაზე;

ა). **მალხაზ ხიდაშელის** განცხადების განხილვა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების შესახებ გადაიდოს საბჭოს შემდგომი სხდომისთვის, მის მიერ ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენამდე.

3. მესამე და მეოთხე საკითხების განხილვა გადაიდოს საბჭოს შემდგომი სხდომისთვის.

4. **გიორგი ციხისთავს** განემარტოს ინფორმაცია პირადი განცხადების საფუძველზე წევრობის შეჩერების შემთხვევაში, სერთიფიკატის ვადის მოქმედების შესახებ.

ზაზა ხატიაშვილი

ასოციაციის თავმჯდომარე